№ 249 მთავრობის ორგანო — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. — ოთხშაბათი, ნოემბრის 3 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83

სახელმწ. თეატრი

ოთხშაბათს, 3 ნოემბერს

ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა

4 ნოემბერი კარმენი.

პარასკევს 5 ნოემბერს

ბალეტის საღამო მიხეილ მორდკინისა

შაბათს, 6 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის

ევგენი ონეგინი

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია. 972 1—1

## ქართული სავაჭრო ბანკის გამგეობა

### ამით საყოველთაოდ აცხადებს,

რომ თანახმად აქციონერთა საზოგადო კრების 1920 წ. 18 აპრილის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა ბანკი ადიდებს თავის ძირითად თანხას

**3.500.000 მანეთიდან 15.000.000 მანეთამდე 11.500 აქციათა მეორე გამოცემით. თითო აქცია ათას მანეთის (1000 მან.) ნომინალურ ღირებულებისა,**

**შემდეგ პირობებით:**

1) გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1050 მანეთი, რომლიდანაც 1000 მანეთი ჩაირიცხება ძირითადი თანხაში, დანარჩენი 50 მან. აქციის დასამზადებლათ და მის საღერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

2) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა შეძენაში ეკუთვნის ძველი აქციათა მეპატრონეთ. ძველ გამოცემათა თვითეულ 7 აქციაზე დაეთმობათ 23 ახალი აქცია ბოლო ვადების შემდეგ განაწილდება აქციები გარეშეთა შორის.

3) აქციაზე ხელის მოწერა დაიწყება 1920 წ 10 ოქტომბრიდან და გაგრძელდება ამავე წლის 1 დეკემბრამდე (გაზ. „საქართ. რესპ." №№ 237, 239 და 241 ფულის შემოტანის პირველი ვადა 10 ნოემბერი შეცდომით იყო გამოცხადებული) და ამ დროში შემოტანილ უნდა იქნას აქციის გამოცემის ღირებულების პირველი ნახევარი 550 მანეთი მეორე ნახევარი 500 მანეთი კი 1921 წ. აპრილის 10-დან მაისის 10-მდე.

4) აქციონერებს, რომელნიც მოისურვებენ აქციების სრული ღირებულების გადახდას პირველ ვადაში ე. ი. დეკემბრის 1-დე დაუბრუნდებათ ვადამდე შემოტანისათვის პროცენტი წლიური 6%-დან.

5) ახალი მეორე გამოცემის აქციები იღებენ მონაწილეობას მოგებაში (დივიდენდში) 1921 წ. 1-ლ იანვრიდან.

6) აქციაზე ხელის მოწერა მიიღება ბანკის გამგეობაში ფოთში.

7) ის პირნი, რომელნიც ხელს არ მოაწერენ ახალ აქციაზე 10 ნოემბრამდე, კარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

8) ფულის შემოტანის დროს აქციონერებს მიეცემათ დროებითი მოწმობები რომლებიც შემდეგში შეიცვლებიან ნამდვილ აქციებით, როგორც კი ასეთები დამზადებული იქნება. 944 2—2

## ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო აცხადებს,

რომ მას ჰყავს გასაყიდი ფოსტისთვის გამოუსადეგი 1 ცხენი და ურმის თვლები თავის ხელსებით, რომლის გასასყიდათ

**საჯარო ვაჭრობა დანიშნულია ხუთშაბათს, 4 ნოემბერს.**

შეჯიბრება მოხდება სამმართველოს შენობის ეზოში, რუსთაველის ქუჩა № 43, 12 საათზე, სადაც მსურველნი უნდა გამოცხადნენ.

973 1—1

## საჯარო ვაჭრობა

რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივი ამით აცხადებს, რომ შაბათს ექვს ნოემბერს დილის 12 საათზე

**ტფილისის სამხედრო აღრიცხვის შენობაში**

სალვარის ქუჩა, № 24, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. გასასყიდია 50—60 ფუთი სახვევი ქაღალდი. 3521 1—1

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ ხუთშაბათს 1920 წ. ნოემბრის 4-ს დილის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე)

**საჯარო ვაჭრობა ქალაქის სასწორების იჯარით გასაცემათ**

რომელიც მდებარეობენ მალაკნის და დესიმონოვის მოედანზე. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

975 2—1 **ქალაქის გამგეობა.**

## ოფიციალური განყოფილება.

### ბრძანება

**რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა და სამხედრო უწყებათა მიმართ.**

23 ოქტომბერი, 1920 წ., № 90.

თანახმად 1919 წლის 6 ნოებრის სხდომის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იმავე წლის № 258-ში, რესპუბლიკის ყოველი მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის კაცი ვალდებულია თან ქონდეს სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მაჩვენები საბუთი. მთავრობის ასეთი დადგენილების გამო გენერალურ შტაბმა სხვა და სხვა დროს მოახდინა სათანადო განკარგულებები, ხოლო ამა წლის 8 ივნისს გამოცემული იქნა სამხედრო უწყებას მიმართ № 49 ბრძანება, რომლის ძალით რესპუბლიკის ყველა სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცთა აღრიცხვა აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოს. სამხედრო მინისტრის ხსენებული ბრძანება ყველა სათანადო-განმარტება-დამატებებით დაურიგდა გენერალური შტაბის მიერ საყოველთაოთ ასასრულებლად ამა წლის 23 ივნისს სამხედრო აღრიცხვის განყოფილებათა უფროსებს № 2676-ით და სამაზრო ერობათა თავმჯდომარეებს, ტფილისის ქალაქის მოურავს და აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარეს № 2677-ით. მივიღებთ მხედველობაში, რომ დღეს რესპუბლიკის ყოველ მაზრაში არსებობს სამხედრო აღრიცხვის განყოფილება, ყოველი მოქალაქეს ადვილათ შეეძლო გამოცხადებულიყო თავის მაზრის სამხედრო განყოფილებაში და მიელო კანონით მოთხოვნილი საბუთი. მიუხედავათ ამისა, მოქალაქენი მიმართავენ ქ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს მათი აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. ასეთ მოვლენიდან ნათლად სჩანს, რომ ზოგიერთ მაზრებში ჯერაც არ არის სისრულეში მოყვანილი ზემოხსენებული მთავრობის დადგენილების გამო სამხედრო უწყებისადმი გაცემული № 49 ბრძანება და მაზრების სამხედრო, თუ სამოქალაქო ადმინისტრაციამ არ იცის სად იმყოფება აღრიცხვაზე მათდამი რწმუნებული მაზრის სათადარიგო თუ მოლაშქრე ჯარის კაცი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო კატეგორიულად ვბრძანებ 1) დღეიდან ყველა სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცებს სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მაჩვენებელი საბუთი ეძლეოდეს თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 2) აეკრძალოს ქ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს პირველ პუნქტში აღნიშნულ საბუთების გაცემა იმ სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცებზე, რომელნიც არ არიან ქ. ტფილისის მუდმივი მცხოვრებლები, 3) ყველა სამაზრო თუ საქალაქო ადმინისტრაციას დაევალოს ყოველი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცის პიროვნების გამორკვევა, რათა სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსის მიერ ყალბ პიროვნებაზე არ იქნეს საბუთი გაცემული და 4) სხვა მაზრებიდან ქ. ტფილისში ჩამოსულნი ყველა ის სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცნი, რომელთაც არ აღმოაჩნდებათ ზემოხსენებული საბუთი, ქალ. ტფილისის ადმინისტრაციის მიერ დაუყონებლივ იქმნენ დაბრუნებულნი სათანადო სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსთან ამ საბუთის მისაღებათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი

**ნ. რამიშვილი.**

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალ

**ა. გედევანიშვილი.**

### განკარგულებანი

**სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.**

20 სექტემბერი, 1920 წ., № 422.

სახელმწიფო კონტროლის უფროსს რევიზორს სოლომონ ვახტანგის ძე მაჩაბელს განსაკუთრებულ შრომის ჯილდოთ ვუნიშნავ ორი თვის ჯამაგირს.

28 ოქტომბერი 1920 წ. № 448.

**ინიშნება:** სახელმწიფო კონტროლის ფოთის განყოფილებაში რევიზორის თანაშემწეთ სპირიდონ ხუბულავა ა. წ. 28 ოქტომბრიდან.

28 ოქტომბერი, 1920 წ., № 449.

სახელმწიფო კონტროლის უფროსი რევიზორი გიორგი გედევანიშვილი თანახმათ მისი თხოვნისა, სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან ამა წლის 20 სექტემბრიდან.

1 ნოემბერი, 1920 წ., № 451.

**ინიშნებიან:** სახელმწიფო კონტროლის რევიზორის თანაშემწე არჩილ გორგაძე რევიზორათ და მოანგარიშე მოხელე ვლადიმერ სურგულაძე რევიზორის თანაშემწეთ, ორივე ამა წლის 1-ლ ნოემბრიდან.

№ 452.

**ინიშნება:** სახელმწიფო კონტროლის სიღნაღის განყოფილებაში კანცელარიის მოხელეთ გიორგი ვასილის ძე ნადირაშვილი ამა წლის 1-ლ ნოემბრიდან.

№ 453.

**ინიშნება:** სახელმწიფო კონტროლის რევიზორის თანაშემწეთ კონსტანტინე ესტატეს ძე კვესაძე ამა წლის ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი

**კ. ანდრონიკაშვილი.**

### ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

25 ოქტომბერი, 1920 წ., № 294.

**განთავისუფლებულ იქმნას:** დროებით სამსახურიდან ტფილისის ოლქის სასამართლოს ნაფიცი მსაჯულათ მიწვევის გამო საზომ-საწონის პალატის გამგე ვლადიმერ მინას ძე გოცირიძე ოქტომბრის 25—30-მდე.

№ 295.

**შეუდგეს:** დროებით საზომ-საწონი პალატის უფროსის თანამდებობის ასრულებას ამავე პალატის უფროსის თანაშემწე ალექსი ალექსანდრეს ძე რეზვიაკოვი ამა წლის ოქტომბრის 25-დან—30-მდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 ოქტომბერი, 1920 წ. № 296.

**განთავისუფლებულ იქმნას:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავის თხოვნისა, სამრეწველო მცირე განყოფილების გამგე მარიამ ივანე ანდრონიკაშვილის ასული ამა 1920 წ. 1 ნოემბრიდან.

№ 297.

**განთავისუფლებულ იქმნას:** დასასვენებლად ერთი თვის ვადით ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის ბუხჰალტრის თანაშემწე ივლიანე როსაპის ძე ქაჯაია ამა წლის ოქტომბრიდან—ნოემბრამდე.

№ 298.

**განთავისუფლებულ იქმნას:** დასასვენებლად ერთი თვის ვადით ფოთის ხაზინადარი ბესარიონ მიხეილის ძე ჩიჩუა ამა წლის 19 ოქტომბრიდან—19 ნოემბრამდე.

№ 299.

**დაინიშნოს:** სავაჭრო-მცირე განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწეთ სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების რეგისტრატორი ლევან ანჯაფარიძე ამა წლ. ნოემბრის 1-დან.

№ 300.

**განთავისუფლებულ იქმნას:** სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა თელავის ხაზინის I ხარისხის ბუხჰალტერი ივანე ახილის ძე მოსკო ამა 1920 წლ. 23 ოქტომბრიდან.

№ 301.

**დათხოვნილ იქმნას:** სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა ტფილისის ხაზინის პირველ ხარისხის ბუხჰალტერი მიხეილ პეტრეს ძე რატიანი ამა წლის ოქტომბრის 20-დან.

№ 302.

**დანიშნულ იქმნას:** ზესტაფონის ხაზინის 1-ელ ხარისხის ბუხჰალტრად ამავე ხაზინის მე-2 ხარისხის ბუხჰალტერი კონსტანტინე სახვაძე ამა წლის 1 ნოემბრიდან.

№ 303.

**დანიშნულ იქმნას:** ტფილისის ხაზინის პირველ ხარისხის მოლარედ ქუთაისის ხაზინის ბუხალტერი ვლადიმერ გიორგის ძე მუსერიძე ამა წლის 1-ლ ნოემბრიდან.

№ 304.

**დანიშნულ იქმნას:** ახალქალაქის მე-2 ხარისხის ბუხჰალტრად ამავე ხაზინის რეგისტრატორი ალექსანდრე პეტრეს ძე კიადიკოვი ამა წლის 1 ნოემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

ს. ჟვანია.

## არა ოფიციალური განყოფილება.

# უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობა).

### ვრანგელის ოფიცერთა მოწოდება.

ყირიმის გაზეთებში გამოქვეყნებულია ვრანგელის შტაბის ოფიცრების მოწოდება ბოლშევიკთა ბანაკში მყოფ ოფიცერთა მიმართ. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ჯარმა აიღო მახვილი თავისუფლების, მშვიდობიანობისა და რუსეთის ხალხის გასანთავისუფლად. ძველი დ ნაშაულებანი დავიწყებული იქნება, თუ წითელ არმიისაგან რუსეთის არმიაში გადმოხვალთო.

### ოსმალეთი რუსეთის შესახებ.

ოსმალური გაზეთი „პეიამ საბახი" იხილავს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას და გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ქემალისტებს საბჭოთა რუსეთის იმედი აქვთ. ოსმალეთს არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდე,—სწერს გაზეთი, რომ რუსეთი ოსმალეთის მოსისხლე მტერი იყო ყოველთვისო. შემდეგ გაზეთი ეხება რუსეთის მდგომარეობას სამხედრო ასპარეზებზე და აღნიშნავს მის მძიმე მდგომარეობას. გაზეთის აზრით მოსკოვის ძალებმა ფეხი დადგეს ოსმალეთის ტერიტორიაზე, მაშინ ისინი ოსმალეთს რუსეთს დაუმორჩილებენ.

### უმუშევრობა ინგლისში.

„დეილი ტელეგრაფი" იუწყება ინგლისში უმუშევრობის გაძლიერების შესახებ უმუშევრობა საშიშ სახეს ღებულობს. უმუშევრობა გამოწვეულია მრეწველობაში გამეფებულ კრიზისით.

### გერმანელი მრეწველები.

„დეილი ტელეგრაფი" იუწყება: გერმანელი მრეწველები ყოველ ზომას ღებულობენ, ინგლისთან სამრეწველო დამოკიდებულების აღსადგენათ. ინგლისის და გერმანიის კერძო ფირმებმა უკვე დაიწყეს სამისო მოლაპარაკება. ინგლისის პრესა შეშფოთებულია იმით, რომ გერმანელები თავის საქონელს იაფ ფასებში იძლევიან. გერმანიის საქონელი ინგლისის ბაზარზე ორჯერ უფრო იაფად გაიყიდება, ვიდრე ინგლისისაო.

(გაზეთებიდან).

### ბოლშევიკები და ნიკოლოზის ფული

ესტონეთის „გაზეთი ვაბაამაა"-ს ცნობით ბოლშევიკების საზავო დელეგაციის წევრს სოკოლოვს განუცხადებია რომ საბჭოთა რუსეთი ყოველდღე ბეჭდავს 140 ათას მანეთს ნიკოლოზის ფულს, რადგან ამ კუპიურებს ხალხში დიდი პატივისცემით და ყურადღებით ეპყრობაო.

### რაბინდრანეს თაგორი ევროპის შესახებ.

ინდოეთის დიდებული მწერალი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება პარიზში, ევროპის შესახებ სხვათა შორის უთქვამს, რომ თანამედროვე ევროპაში საუკეთესო მისი საზოგადოება გადაგვარებულია, გადაშენებულია ომიანობის გამო და რომ დღეს ევროპაში აღარ არის არავითარი კულტურული სხივი.

### იაპონიის სამხედრო ძალა.

გაზეთი „ჯაპან ქრონიკლ" ეხება რა იაპონიის სამხედრო ძალას ამბობს რომ იაპონიის სამხედრო ძალა, რომელიც მოიკრიფა ციმბირში და მანჯურიაში აღემატება იმ რიცხვს როდესაც იაპონიას რუსეთთან ომი ჰქონდეაო. ეს და სხვა ბევრი გარემოება მომასწავებელია იმისი რომ იაპონიას სერიოზული სამხედრო ძალა ჰყავს.

### ვერსალის ხელშეკრულების შესრულება.

„პტი პარიზიენი"-ს ცნობით ვერსალის ხელშეკრულობის ყველა მუხლების შესრულება მოკავშირე სახელმწიფოების მიერ უნდა უცვლელად მოხდეს.

### ელჩთა კონფერენცია.

შესდგა ელჩთა კონფერენცია ჟიული კამბონის თავმჯდომარეობით. კონფერენციამ საზავო ხელშეკრულობის პირობებზე ბევრი ითათბირა.

### პოლონეთი და მცირე ანტანტა

პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა რომ პოლონეთს სურს მცირე ანტანტაში შევიდეს იმიტომ რომ პოლონეთმა რაც შეიძლება მალე დაიჭიროს ურთიერთობის კავშირი რუმინეთთან.

### ფინლიანდიის საზღვაო შეიარაღება.

ფინლიანდიის სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი რომლის საშუალებით ექვსი კვირის განმავლობაში საზღვაო ნაოსნობისთვის ყველა საჭირო იარაღები დამზადდება.

# დეპეშები

## ლიონის ცნობები

### პოლონეთ-ლიტვის უთანხმოება.

საფრანგეთის პრესის ცნობით პოლონეთის მინისტრთა საბჭომ მოიწონა ერთა ლიგის საბჭოს წინადადება, რომ პოლონეთისა და ლიტვას სადაო ტერიტორიაზე მცხოვრებთა დაკითხვა მოხდეს.

### გენ. ვრანგელი ფრონტზე.

ოქტომბრის 24 ცნობით ვრანგელის ჯარები დნეპრის ფრონტზე ბრძოლას წარმატებითი აწარმოებენ. ბოლშევიკები სცდილობენ დნეპრზე გადმოსვლას. ოქტომბრ. 26 წითლების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლები დაწყებულა.

### ჰამბურგის სენატი და საფრანგეთი.

პრეზიდენტმა ჰამბურგის სენატის საშუალებით საფრანგეთის გენერალური კონსულს თანაგრძნობა განუცხადა იმ თავდასხმის გამო, რომლის დროსაც მოკლეს საფრანგეთის საკონსულოს ატაშე.

### საბერძნეთში

ნოემბრის 7 დანიშნული არჩევნები 14 გადაიდვა. დიდი ამბით დამარხეს მეფე ალექსანდრე. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. საფრანგეთის ამირბარმა, რომელიც ნაღმოსან ვალდეკრუსოთი" ნაპირს მოადგა ფრანგ მეზღვაურების სახელით მიცვალებულს გვირგვინი დაადგა. დასაფლავების ცერემონალში მონაწილეობას ღებულობდა ფრანგ მეზღვაურთა რაზმი. ბელგიის მეფე და მისი მეუღლე ბრაზილიის კრეისერით ლისაბონში მოვლენ.

### სულთ მოფენის დღე.

ორშაბათს დილით მილიერანმა რამდენიმე სასაფლაო ინახულა. პანთეონში მან ინახულა ინგლისელ ჯარის კაცების საფლავები. ინგლისის ელჩმაც ინახულა ფრანგ ჯარის კაცების საფლავები. სასაფლაოებზე 254,000 კაცამდე იყო. ყველამ მოიტანა ყვავილები მიცვალებულთა საფლავის შესამკობათ.

### საფრანგეთი და ინგლისი.

„ტანი" კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის უთანხმოებას, სამშვიდობო ხელშეკრულობის შესრულების შესახებ ბოლო ელება, და ორივე სახელმწიფოს მთავრობა გულწრფელად სცდილობს გაუგებრობის მოსპობას. ზოგიერთ გაზეთის და მათ შორის „დეილი ნიუსის" კომპანიის გამო „ტანი" სწერს: ეს გაზეთი 1919 წ. აგვისტოში მომხრე იყო ინგლისის ნეიტრალიტეტისა ბელგიის საკითხში. „ტანის" აზრით საფრანგეთისი მპერიალიზმი გერმანელთა მოჭორილი ამბავია, რომელიც არ შეიძლება დაიჯეროს არც ერთმა ადამიანმაო.

# ერნესტ ნისი და საქართველოს დამოუკიდებლობა

ლოზანის გაზეთი ამ ცოტა ხანში გარდაცვლილ სახელგანთქმულ ბელგიის მეცნიერს ერნესტ ნისს წერილს უძღვნის და ამასთანავე იხსენიებს ერნესტ ნისის აზრს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ.

ერნესტ ნისის სახით სწერს გაზეთი საერთაშორისო უფლების მომხრეებმა დაჰკარგეს ერთი საუკეთესო თავიანთი დამცველი და მისი დაკარგვა ყველასათვის საგრძნობია. მით უფრო საგრძნობი იქნება საქართველოსთვის, რომლის დამოუკიდებლობის საკითხი „საერთაშორისო უფლების" დიდებულმა ავტორმა ჯერ ისევ 1906 წელში წამოაყენა.

ერნესტ ნისი თავის წერილში შემდეგს სწერს: „ქართველები იმყოფებიან განსაკუთრებულ პირობებში და მათი ქვეყნის მდგომარეობა—რევოლიუციონურია. ძალმომრეობის აქტი, რომელიც ხდება საქართველოს საქმისთვის არის პოლიტიკური. რუსეთის მთავრობის ბატონობა საქართველოში უსამართლობაა, როგორც თავისი პრინციპით, ისე ისტორიულადაც. რუსეთის ბატონობა ეყრდნობა მოტყუებაზე და მთელი საუკუნის განმავლობაში იგი გამოიხატებოდა სასტიკ დესპოტიზმში და ტირანიულ მოქმედებაში.

ცბიერება, სიცრუე, ღალატი — აი რა ახასიათებს რუსეთის პოლიტიკას საქართველოში. ასეთი სასტიკი რეჟიმი საქართველოში გრძელდება მთელი საუკუნე და ამ ხნის განმავლობაში, მისი მიზანი იყო ქართველ ხალხში ჩაეხშო ყოველივე ეროვნული გრძნობანი, განსაკუთრებით რუსული რეჟიმი ულმობელი მტერი იყო ქართულ ენის და ქართულ რელიგიის. მან დაანგრია მისი სკოლები და მოსპო განათლება, მან იგდო საქართველოს მდიდარი ადგილები, დაიმორჩილა ახალგაზდათაობა. მან გაგზავნა შორეულ ადგილებშიაც კი (იმერეთში) თავისი რეკრუტები. რუსეთი მსჯავრს სდებდა ქართველ პატრიოტებს და ციხეებში ალპობდა იმ ხალხს, ვინც საქართველოზე ხმას ამოიღებდა. ყოველივე ამას ერნესტნისი დასკვნას უკეთებს და ასე ეკითხება რუსეთის მთავრობას: ვინ გაბედავს რომ სთქვას ამბოხება და რევოლიუციონური მოძრაობა არ არის ქართველის ნამდვილი მოვალეობაო?..

# საქართველოს რესპუბლიკის საკითხი ნაციათა ლიგაში.

სექტემბრის 20-ს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ნაციათა ლიგის საბჭოს მდივნისაგან წერილი, რომლითაც იგი იტყობინებოდა, რომ 15 ნოემბრისათვის ჟენევაში დანიშნულია პირველი საზოგადო კრება ნაციათა ლიგის წევრებისა და ამ კრებაზე იქნება აღძრული და გარჩეული საქართველოს რესპუბლიკის ლიგის წევრად მიღების საკითხი. შესაძლოა, სწერდა საბჭოს მდივანი, კრებამ მოისურვოს თქვენი საკითხის შესახებ სიტყვიერი განმარტების მოსმენა, ამისათვით საჭიროა დანიშნოთ თქვენი წარმომადგენელიო.

მთავრობამ ასეთ წარმომადგენლად დანიშნა ამ ჟამად ევროპაში მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი, რომელსაც დღესვე ეცნობა დეპეშით ამის შესახებ და ფოსტით გაეგზავნა საჭირო მანდატი.

ამასთან ერთად დეპეშით და ცალკე წერილით ეუწყა ამის შესახებ ლიგის საბჭოს მდივანს.

ყველა საჭირო მასალა საქართველოს შესახებ ჟენევის კრებისათვის წარსადგენად ადრე გაეგზავნა ლიგის საბჭოს მდივანს ბ-ნ დრიუმანს, თანახმად მისი თხოვნისა.

# შრომის სამინისტროში

### სალიკვიდაციოს მიცემა.

ბათომის შრომის კომისარის შეკითხვაზე, უნდა მივცეთ თუ არა სალიკვიდაციო ფული იმ მუშებსა და მოსამსახურეთ, რომლებიც დათხოვნილი არიან იმ სადგურებისა ან საწარმოო დაწესებულებების რეკვიციციის გამო, რომლებშიაც ისინი მსახურობდნენ, შრომის სამინისტრომ განუმარტა, რომ იმ შემთხვევებში, თუ მოსამსახურე დათხოვნილი იქნება არა თავის დანაშაულობისათვის, მაშინ დათხოვნილს უფლება აქვს სალიკვიდაციო ჯილდო მოითხოვოსო.

### ფოთის საავადმყოფო.

შრომის სამინისტრომ ფოთის საავადმყოფო კასას აცნობა რომ იგი ვალდებულია წარუდგინოს სამინისტროს ანგარიში თავის მოქმედების შესახებ ყოველ სამ თვეში. ანგარიშში აღნიშნული უნდა იქნეს კამისიის მონაწილეთა რიცხვი ავადმყოფობანი და მისი ხანგრძლივობა, თუ რამდენ პირს აღმოუჩინეს დახმარება, და რა სახით აღმოუჩინეს დახმარეაა, რამდენ დასახიჩრებულს მისცეს დახმარება და რამდენი დაიხარჯა კასის გარდაცვლილ წევრების დასაფლავებაზე და სხ.

# სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა.

### სამხედრო მინისტრის მისალმება სახალხო გვარდიას:

სამხედრო მინისტრმა სახალხო გვარდიის ყრილობის თავმჯდომარეს შემდეგი მისალმების დეპეშა გაუგზავნა: რესპუბლიკის ჯარების სახელით ვუძღვნი სალამს სახალხო გვარდიის ყრილობას და ვუსურვებ მას ნაყოფიერ მუშაობას მტკიცედ დარწმუნებული, რომ სახელოვანი გვარდია და არმია ურთიერთ შორის მჭიდროთ შეკავშირებულნი ერთობაში ძალით დასძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას მათ უზენაესი მიზნის განხორციელებაში— სამშობლოს დამოუკიდებლობის და მასში დემოკრატიული წეს წყობილების განმტკიცებაში და დაცვაში ქართველი ერის საბედნიეროდ. სამხედრო მინისტრის მაგიერი გენერალი ოდიშელიძე.

### სახ. გვარდიის ყრილობის საპასუხო დეპეშა.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სამხედრო მინისტრს: სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა გთხოვთ გადასცეთ რესპუბლიკის ჯარს ჩვენი მხურვალე სალამი. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შეერთებული ძალები სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის საქმეში მუდამ ერთად იქნება და მტერს ყოველთვის შესაფერ პასუხს გასცემს. ყრილობის პრეზიდიუმი.

# ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების კანონ-პროექტი.

კანონების გადამსინჯავ კომისიამ დაასრულა განხილვა კანონ-პროექტისა ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. 5 მუხლის გარდა, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო საქართველოს დეპეშათა სააგენტოს მიერ, დამატებითად კიდევ მიიღეს 19 მუხლი. სხვათა შორის მერვე მუხლში აღნიშნულია, რომ ერთი წლის განმავლობაში ამა კანონ-პროექტის გამოქვეყნებისა მთელი მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც კი ეკლესიების და მონასტრების ხელშია, იმ მიწების გამოკლებით, რომელთაც თანახმად აგრარული კანონისა კონფისკაცია ეხება, გადადის იმ რეგულიურ საზოგადოების განკარგულებაში, რომელიც კანონიერი გზით შეიქნა იმ სამრევლოში, სადაც ეს ქონება იმყოფება. ამავე საზოგადოებათა ხელში გადავა შენობები და მასთან ერთად მოსამსახურეები, რომლებიც ამ სარწმუნოებას მღვდელთ მსახურებენ. მეცხრე მუხლის ძალით ის შენობები, რომლებსაც ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს, მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით გადაეცემა სახელმწიფოს. ეს ქონება განათლების სამინისტროს ხელში იქნება. სახალხო განათლების სამინისტროს ევალებ ამა კანონის გამოქვეყნების დღიდან ერთი წლის შემდეგ შეადგინოს ამგვარ შენობათა სია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლად. მე-11 მუხლი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ ქონების გადაცემა სხვა და სხვა მიზეზების გამო არ მოხდა განსაზღვრულ ვადაში, იმ შემთხვევაში, სადაც კი ეს ორგანოები არ იქნება იქ ქონება დროებით გადავა ადგილობრივ ადმინისტრაციის ხელში. ყველა დავა, რომელიც კი შეიძლება ასტყდეს რელიგიურ საზოგადოებათა შორის გადაწყდება საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში. მე-13 მუხლი აღნიშნავს: დაშლილათ ჩაითვლება ის რელიგიური საზოგადოება, რომელიც თავის მღვდელ-მსახურებას ერთი წლის განმავლობაში უმიზეზოთ არ შეასრულებს. მე-14 მუხ. ძალით შეიძლება დაიხუროს ის რელიგიური საზოგადოებანი და მათი კავშირები, რომლებიც თავის მიზნებს აღარ ემსახურებიან, ან სახელმწიფოს საზარალო მუშაობას ეწევიან. საზოგადოების დაშლა. ან მათი და მისი კავშირების დახურვა იქნება შემდეგი საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების გადაწყვეტილებისა. საოლქო სასამ-რთლოში საქმის აღძვრა შეუძლია დაინტერესებულ საზოგადოებებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს. მე-17 მუხ. რელიგიურ საზოგადოებას და მათ კავშირებს უფლება ეძლევათ სწავლებისა და ქველმოქმედებისა. მე-10 მუხლის ძალით სახელმწიფოს უფლება აქვს რევიზია გაუკეთოს რელიგიურ საზოგადოებათა ხარჯთ-აღრიცხვასა და გასავალს. ამიტომ ყოველი წლის ბოლოს რელიგიური საზოგადოებანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ურდგენენ თავის ფინანსიურ ანგარიშებს. ფული და სხვა ღირებულებანი რელიგიურ საზოგადოებათა, რომელიც მიმდინარე საჭიროებებზე არ იხარჯება, სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში უნდა ინახებოდეს.

## სააქციზო გადასახადთა შეცვლა.

სავაჭრო სამრეწველო პალატამ ოქტომბრის 27 სხდომაზე ფინანსთა მინისტრის საბჭოს დადგენილების თანახმად განიხილა აქციზის გადასახადის საკითხი არსებულ საბაზრო ფასებთან შეფარდებით. სავაჭრო-სამრეწველო პალატამ სხდომაზე დაადგინა შემდეგი საქციო გადასახადები, რომლებიც დაყოფილია 5 ჯგუფათ: 1) 1 ჯგუფზე დადგენილია 1% საქციზო გადასახადი (ჩაი ფასი 480 მ., აქციზი 48 მ., შაქარი 6,000 მან. ფ. აქციზი 600 მ.) 2) მეორე ჯგუფი 15% აქც. გადახ. (ასანთი 4.000 მ. ათას კოლოფში, აქციზი 600 მ., ნავთი 100 მ. ფუთი, აქციზი 15 მ.) 3) მესამე ჯგუფი-20% აქც. გადახ. (ყურძნის ღვინო 1,000 მ. ვედრო, აქციზი 200 მ. ლუდი 750 მ. ფ. აქციზი 150 მ., ჭაჭა და მისგან გამოსული სპირტი 60 აქციზი 12 მ. ყოველ გრადუსზე. 4) მეოთხე ჯგუფი 30% გადასახადი. (პაპიროსის ქაღალდი წიგნაკი 6 მან. აქციზი 1 მ. 80 კ., პაპიროზის გილზი, კოლოფი 250 ჯალით 75 მ., აქციზი 22 მ. 50 კ. პურის სპირტი და პურის არაყი 100 გრადუსი აქციზი 30 მანეთი ყოველ გრადუსზე, კონიაკის სპირტი 60 გრად. აქციზი 18 მან. ყოველ გრადუსზე, შამპანიური 16000 ვედრო, ბოთლი 1,000 მ. აქციზი 300 მან. ბოთლიდან ლიქიორები, ტკბილი ღვინოები მადერა, ხერსი და სხვ. 1,600 მ. ვედრო, აქციზი 480 მ. ვედროზე. 5) მეხუთე ჯგუფი 5% აქც. გადას. (თუთუნი 320 მან. გირ. აქციზი 160 მან., პაპიროსი 800 მან. ათასი ცალი, აქციზი 400 მან. არყის ნაწარმოები 8,000 მ. ვედრო აქციზი 4.000 მ. ვედროზე (გადასინჯვის დამთავრების შემდეგ პალატამ გამოსთქვა სურვილი შეამცირონ კონიაკის სიმაგრე, როგორც ეს საზღვარ გარეთაა მიღებული, 38 გრადუსამდე. ამასთანავე გამოითქვა სურვილი მოეხსნას ბაჟი საზღვარ გარეთ გასატან კონიაკს, ღვინოს და თუთუნს რომ ამით ხელი შეუწყონ წარმოებას ამ დარგის განვითარებას,

## ე რ ო ბ ა

**ქუთაისის სამაზრო ერობაში.**

— ქუთაისის რაიონის მილიციას ეძლიოს უფასოდ ტანისამოსი წელიწადში ორხელ: ერთი წყვილი საზამთრო და ერთი წყვილი საზაფხულო; ეძლიოს აგრეთვე წლიურად ორი წყვილი საცვლები. ცხენის საკვები მიეცეს ნატურით.

— გუბის წყალზე ხიდის გაკეთება გაიცეს იჯარით; ამ საჭიროებისათვის გაცემულ იქნას სამაზრო ერობიდან ას სამოცი კასრი ცემენტი.

# კანტორისაგან

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“

## კ ა ნ ტ ო რ ა

**უკანასკნელად აცხადებს ნისია ხელის მომწერ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ 20 ნოემბრიდან მათ გაზეთი მოეკვეთებათ თუ აღნიშნულ დრომდე ფული არ შემოიტანეს.**

— ს. ამაღლებაში და ვანში გაკეთდეს ერთი ბორანი მდ. რიონზე. ამაღლებაში გასასვლელად და ერთი ბორანი ვანში.

— ქუთაისის სანაზრო გოსპიტალს ა. წ. 1 ოქტომბრიდან დაერქვას „ქუთაისის ერობის საავადმყოფო“, რომლის მოსამსახურეთა ძირითადი და დროებით შტატების პროექტები დამტკიცდეს.

— მიეწეროს ფარცხანაყანევის თემის გამგეობას, რომ ეკლესიების შენობების დარღვევა უნდა ხდებოდეს სათანადო უწყების ნებართვით და არა ძალმომრეობით.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს გაეგზავნოს სიმინდის საფასური იმ ფასების მიხედვით, როგორც იყო 1919 წ. გიორგობისთვეში.

— გულეიკარის თემი იქნეს გადმომიჯნული. გადმომიჯვნის დროთ დაინიშნოს ა. წ. 31 ოქტომბერი; ამ დროისთვის მიწვეულ იქნენ ოზურგეთის და სენაკის ერობიდან წარმომადგენლები.

ქუთაისის ერობიდან წარმომადგენლად დაინიშნოს გიორგი დუნდუა.

— უხუთის თემში გაიხსნას საექიმო პუნქტი, თუ ამ პუნქტის შენახვას, სანამ სამაზრო ერობა მიიღებდეს, იტვირთებს თვით თემი.

**სურსათ-სანოვაგის დაბეგვრა თემების მიერ.**

ადგილობრივი თემები მცხოვრებთ სურსათ-სანოვაგის გადმოტანაში ადებენ ბეგარას. ვინაიდან ასეთი განკარგულება არა ყოფილა და თემებს არავითარი უფლება არა აქვთ სურსათ-სანოვაგის გადმოტანაში რაიმე ბეგარა დაადონ მცხოვრებს, ამიტომ ტფილისის სამაზრო ერობამ წინადადება მისცა ყველა ადგილობრივ თემებს რომ მათ მცხოვრებთ სურსათ-სანოვაგის გადმოტანაში არავითარი ბეგარა არ დაადონ.

## პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოში

ოქტომბრის 31 მოხდა საქართველოს რესპუბლიკის კავშირების სეკრეტარიატის სხდომა მოქალაქე გორგაძის თავმჯდომარეობით. იმსჯელეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მოხსენება წაიკითხა მოქალაქე ჩხენკელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კავშირები ბონებით ჯამაგირების მომატების კატეგორიულად წინააღმდეგი არიან და საჭიროთ მიაჩნიათ პირველ მოთხოვნილების საგნების მიწოდებით იქნას მუშათა მდგომარეობა გაუმჯობესებული. კავშირები პირველ ყოვლისა პურის რაიონის გადიდებას მოითხოვენ. მთელ რიგ ორატორებმა დაამტკიცეს ჯამაგირის მომატების უმიზნობა, სხდომაზე დამსწე შრომის მინისტრის ამხანაგმა ბახტაძემ გააკეთა მოხსენება იმის შესახებ, თუ რის მიცემა შეუძლია მახლობელ დროში მუშათა და მოსამსახურეებისათვის მუშათა მაგიდას. უმთავრესი ყურადღება მუშების და მოსამსახურეების პურით უზრუნველყოფას აქვს მიქცეული. ეს ძნელი საქმეა, ვინაიდან უცხოეთიდან პური არავის მოაქვს და შინ გლეხები არ ყიდიან ხორბალს. სამინისტრო ყოველ ზომას ღებულობს პურის მოსამარაგებლად და იმედი აქვს ამ მოკლე ხანში პურის ულუფის $1^1/_2$ გირ. გადიდებისა. მიღებულია ზომები ნახშირის, შეშის და ბოსტნეულობის მოსამარაგებლად. შეშის დამზადება ბრკოლდება მუშა ხელის სიმცირის გამო და ამიტომ მუშათა ორგანიზაციები დაგვეხმარონ ამ საქმეში შობამდი $^1/_8$ საჟენის შეშის დარიგება მოხერხდება. მოკლე ხანში დარიგება სულზე ფუთი ნავთი. მიღებულია ზომები რომ შაქარიც რეგულიარულად რიგდებოდეს მანუფაქტურა საკმაო არ არის და რაც არის მას გადასაცვლელ საქონლად ვიყენებთ. მუშათა მაგიდა დიდ დეფიციტს ნახულობს პურის საქმეში.

ამის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათის დროს ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი ერთნი წინააღმდეგნი იყვნენ მომატების და მოითხოვდენ სურსათს. ორატორები აღნიშნავდენ, რომ მუშათა მდგომარეობა მეტად მძიმეა, მაგრამ მათი მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებით. მოითხოვენ მრეწველობის განსავითარებლად და შრომის გასანაყოფიერებლად ზომების მიღებას. კონკრეტიულად საჭიროდ იცვნეს: მუშათათვის საყასბოების მოწყობა. კოოპერატივებისათვის სესხის მიცემა სურსათის შესასყიდათ და მუშათა რაზმების მოწყობა შეშის დასამზადებლად. კამათის შემდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ცენტრ. საბჭ. აღმ. კომ. და სეკრეტარიატის გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა მუშათა ეკონომიური მდგომარეობა და დაადგინეს დღევანდელ ეკონომიურ პირობებში ჯამაგირების მომატება უმიზნოა. უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება მუშებისათვის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუ აღნიშნული ზომები 10 დღეში არ იქნა განხორციელებული ეს საკითხები კვლავ დაისვას განსახილველად. თათბირს საჭიროდ მიაჩნია მიეცეს მუშათა კოოპერატივებს სესხი სურსათის შესასყიდათ. ბოლოს აირჩიეს კომისია აღნიშნულ ზომების განსახორციელებლად.

## ფოსტა-ტელეგრაფში

**სით ჩაუბარებელი დეპეშებისა 29 ოქტომბერს,**

ბათუმიდან—რახლის, უდიდან—სარიევს, ალექსანდროპოლიდან—ბასტანდჟევს, სუხუმიდან—სარჟინსკის, ყარსიდან—არუთინიანცს, ერევნიდან—რაბოტნიკს, ალექსანდროპოლიდან—ავჩაროვს. ყარსიდან—ოსიპოვს, ქუთაისიდან—ბუზააშვილს, ახალქალაქიდან—ლეონიძეს, სუხუმიდან—ჩემესოვს, ყარსიდან—აირაპეტოვს, ბათუმიდან—ბოტნიკიევს, ასურეთიდან—შლეხტს, დელიჟანიდან—იარალოვს, ახალსენაკიდან—სარაჯევისას, ყარსიდან—აბაევს, სუხუმიდან—პანრიჩევს, ბათუმიდან—კორსუნსკის, იქიდანვე—ვერნერს, გორიდან—ვარძელაშვილს, ალექსანდროპოლიდან—მაიკონოვს, სურამიდან—ახვლედიანს, საჩხერიდან—ტყემალაძეს, ბათუმიდან—მგალობლიშვილს.

**ფოსტით საზღვარ გარეთ კორესპონდენციის გადაგზავნა.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ უარყო ქართულ-ფრანგულ სავაჭრო ბანკის წინადადება პალატასთან საზღვარ გარეთის კორესპოდენციის მიღების მოწყობის შესახებ. თავის უარს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო ასაბუთებს იმით, რომ მოწყობილ სახელმწიფოში, სადაც ფოსტა წესიერად მუშაობს, არ არის დასაშვები საფოსტო ოპერაციების საწარმოებლად კერძო ორგანიზაციების არსებობა. ამასთანავე ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო აღნიშნავს, რომ, თუ მართლაც ფრანგულ-ქართული სავაჭრო პალატა არის დაინტერესებული საზღვარ გარეთის კორესპოდენციის გადაგზავნ-გადმოგზავნის მოწყობაში, უფრო მიზან შეწონილი იქნებოდა მიემართა პალატას საფრანგეთის მთავრობისათვის, რომ მას აღმოეჩინა თავის მხრით დახმარება საერთაშორისო ფოსტის კავშირში საქართველოს ჩარიცხვის საკითხის გარჩევის დროს.

## მილიციაში

**მადლობა მილიციის მოხელეებს.**

ტფილისის მაზრის მილიციის უფროსი მადლობას უცხადებს ალბულაღის უბნის მილიციის უფროსს ბ. ჩალაგანიძეს და იმავე უბნის ყველა მილიციელებს, რომლებმაც თავიანთი ენერგიულ მუშაობით მოუღეს ბოლო უბანში ყაჩაღობას და ბნელი ელემენტებს.

ნამდვილზე აწერია: „ვამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი“ ხ. ჟვალიანი.

# წ ე ს დ ე ბ ა

**დასავლეთ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო ბანკისა.**

**I. დაარსება და კაპიტალი ბანკისა**

§ 1. ამ წესდების საფუძველზე არსდება აქციონერული საზოგადოება, რომელმაც უნდა დააფუძნოს და მოაწყოს ქალ. ქუთაისში ბანკი სახელწოდებით: „დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკი“.

**შენიშვნა:** ბანკის დამფუძნებელნი არიან: 1) წერეთელი ვლადიმერ ჯიბოს ძე, 2) ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, 3) ოცხელი სიმონ ივანეს ძე, 4) კილასონია ნიკოლოზ მერაბის ძე, 5) ქორქოლაძე ვარდენ ტარიელის ძე, 6) ყუფარაძე ბარნაბ სოლომონის ძე, 7) ბასილაძე ტროფიმე ლუკას ძე, 8) ხანანაშვილი ილია შაფათას ძე, 9) იაკობაშვილი შიმშონ შალომის ძე, 10) რაფაელოვი პეტრე ნიკოლოზის ძე, 11) რუხაძე მიტროფანე ბეჟანის ძე, 12) გორდაძე გიორგი თედორეს ძე, 13) ლალიძე მიტროფანე ერმალოს ძე, 14) ბასილია მირიანი თეიმურაზის ძე, 15) ჩიკვაშვილი მიხეილ ისრაელის ძე, 16) აბულაძე აკაკი გიორგის ძე, 17) ანჯაფარიძე რომანოზ სიმონის ძე, 18) მეძმარიაშვილი ივანე სამსონის ძე, 19) ქავთარაძე გიორგი ლევანის ძე, 20) სტურუა სტეფანე პეტრეს ძე, 21) რუხაძე მელიტონ ბესარიონის ძე, 22) რიქინაშვილი ბენიამინ რაფაელის ძე.

§ 2. ბანკის დაარსების შემდეგ ქუთაისში, საჭიროებისამებრ, გამგეობა ნიშნავს კომისიონერებსა და კორესპონდენტებს რესპუბლიკის სხვა და სხვა ქალაქში და საზღვარგარედ.

§ 3. ბანკას გამგეობას უფლება აქვს, აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებისამებრ და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ნებართვით, დაარსოს ბანკის განყოფილებანი იქ, სადაც საჭირო იქნება. თითოეულ განყოფილების სამართველოს მოქმედებათა სფეროს, შემადგენლობას და წესს განსაზღვრავს გამგეობა ამ წესდების მტკიცე საფუძველზე და უზრუნველყოფს განყოფილების ოპერაციებს მთელი თავის ძირითადი და საზოგადო თანხითა და აგრეთვე თავის ყოველი სხვა ქონებითა.

აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით და ფინანსთა მინისტრის ნებართვით გამგეობას უფლება აქვს განყოფილებათა სამოქმედო რაიონში დააწესოს სააგენტოები, რომელთაც შეუძლიან იმუშავონ წესდების მტკიცე საფუძველზე ამ განყოფილებათა ხარჯითა და ხელმძღვანელობით, საააგენტოების მიერ წარმოებული ოპერაციები უზრუნველყოფილია ბანკის მთელი ძირითადი და სათადარიგო თანხით და აგრეთვე ყოველი მისი სხვა ქონებით.

§ 4. ძირითადი თანხა ბანკისა განისაზღვრება პირველ ხანად 20,000,000 (ოცი მილ.) მან. ეს თანხა დაყოფილია 20,000 (ოცი ათასი) აქციად, თითო აქციის 1000 (ათასი) მან. ღირებულებით. შეიძლება გადიდებულ იქნას შემდეგ აქციების ახალი გამოცემით. ამ შემთხვევაში თითო აქციის ღირებულება— წინანდელივე ათასი მანეთია. ეს განოცემა შეიძლება მხოლოდ აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით და ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

**შენიშვნა 1.** პირველ დაწყებითი ბანკის თანხა ოცი მილიონი მან. განაწილდება დამფუძნებელთა შორის, რომელნიც § 1 შენიშვნაში მოხსენებულნი არიან. იმათ უფლება აქვთ მოიწვიონ ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად სხვა პირნი და დაწესებულებები და გადასცენ მათ ნაწილი აქციებისა.

**შენიშვნა 2.** ძირითად თანხად იგულისხმება აქციების შესაძენად ნამდვილად შეტანილი ფული.

§ 5. ბანკს შეუძლიან დაიწყოს თავისი მოქმედება არა უგვიანეს ექვსი თვისა დღიდან ამ წესდების დამტკიცებისა და მხოლოდ მაშინ, როცა ფინანსთა მინისტრს წარედგინება საკრედიტო დაწესებულებათა მოწმობები, რომ თითოეულ აქციაზე პირველ დასაწყისის ოც მილიონიან თანხისა შეტანილია 50% აქციების ნომინალურ ღირებულებისა, ე. ი. ათი მილიონი მანეთი.

დანარჩენი 50% (ათი მილ. მან.) უნდა იქნას შეტანილი საბჭოსა და გამგეობის მი-

ერ განსაზღვრულ ვადაზე, არა უგვიანეს ექვსი თვისა დღიდან ბანკის მოქმედების დაწყებისა. როდის უნდა შემოიტანონ აქციონერებმა ხვედრი ფული, გამგეობა აცხადებს ერთი თვის წინ გაზეთ „საქართვ. რესპუბლიკაში“.

§ 6. აქციების ღირებულების პირველ 50% შეტანაზე დამფუძნებელნი აძლევენ შემტანელთ დროებით მოწმობას, რომელზედაც ინიშნება შემდეგშიაც შეტანილი ფული. როცა მოთავდება ფულის შეტანა, დროებით მოწმობის მაგიერ ეძლევა აქციონერს თვით აქცია.

§ 7. როცა აქციონერთა საზოგადო კრება გადასწყვეტს თანახმად § 4, ახალ აქციების გამოცემას წინანდელ ფას დარქმეულ ღირებულებულებისას ბანკის ძირითადი თანხის გასაძლიერებლად, ამავე დროს ყოველ ამისთანა ცალკე შემთხვევაში უნდა განისაზღვროს კიდეც რიცხვი გამოსაცემ აქციებისა, წესი მათი განაწილებისა და პირობები ხელის მოწერისა გაუნაწილებელ აქციებზე; თან უნდა აღიშნოს რაოდენობა შესატანი ფულისა და დრო შეტანისა, რომელიც არ უნდა გადასცილდეს ერთ წელიწადს.

(შემდეგი იქნება)

## განცხადებანი

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 179 ნიკო თედორესძე მარკოზიშვილის სახელზე, მიღებული თელავის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3430 3—3

დაიკარგა ტრამვაის ბილეთი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და სამსახურის ნუსხა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მილიციონერ იოსებ ივანეს ძე ჟოკოევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3452 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდან იაკოფ მიხეილის ძე წივილაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3431 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. დოლგინოკის მდაბიო მოქალაქეთა საამმართველოდან კალმან ისააკ ზალმანის ძე აკსელროდის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3434 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ავსიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3435 3—2

დაიკარგა № 6548121 დუბლიკატი რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების სახელზე, გამოგზავნილი ოდესიდან კერცმანის მიერ 1917 წ. 74 ფუთი ლურსმის მიღების შესახებ გაუქმებულად ჩაითვალოს. 3437 3—2

დაიკარგა პასპორტი ვერა ყარამანის ასულის მგელაძის სახელზე, მიღებული ჩოხატაურის ერობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3448 3—2

დაიკარგა პასპორტი № 263 იან იანის ძე ბუვმეისტერისაგან, მიღებული კურლიადიის გუბერნიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3467 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1404 მიღებული უკრაინის საკონსულოდან ქ. ტფილისში და ხელშეკრულება ბორჩალოს მაზრაში მამულის შესახებ. შედგენილი ტფ. ნოტარიუს ქართველიშვილთან ალექსი ვონიკატის ძე ლევანდოვსკის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3455 3—2

დაიკარგა ოჯახის შემადგენლოსის მოწმობა № 149 ბარსეგ ვართას ძე ვართანოვის სახელზე, მიღებული ტფ. 13 უბნ. კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3457 3—2

დაიკარგა პასპორტი № 19109 რუბენ მარკარის ძე მოტესიონ-ხაჩატუროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3458 3—2

დაიკარგა პასპორტი არმენაკ არშაკის ძე სტეფანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3461 3—2

დაიკარგა ვექსილი 50,000 მან. მიხეილ ნიკოლოზის ძე ოგანეზოვის სახელზე, მიცემული აბულ ყასუმ აშიმ ოღლის მიერ მ. წ. ოქტომბრის 28-ს ვადით 1921 წ. ივლისის 1-მდე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3444 3—3

დაიკარგა პასპორტი გიორგი ლევანის ძე სარაჯიშვილის სახელზე, მიღებული კავკავში 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3439 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ელენე დანილოვის ასულმა სუბრისოვისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი კონსტანტინე ვასილის ძე სუბრისოვი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1913 წ., უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან, რის გამო აღნიშნული ელენე დანილოვის ასული სუბრისოვისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა ვინც იცის დაკარგული კონსტანტინე ვასილის ძის სუბრისოვის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებუ კანონთა ძალით განუცხადონ სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა ორი თვის განმავლობაში. 3436 3—2

დაიკარგა მოწმობა აკოფ ანდრანიანის სახელზე, მიღებული ტფ. სომეხთა სემინარიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3442 3—2

დაიკარგა სიმტკიცის მოწმობა 1896 წ. 4 მარტიდან № 379 და ნასყიობის სიგელი 1808 წ. 28 ივლისიდან № 12069 ალექსანდრე ოსიპის ძე მაჩკალოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3440 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3093 ვარდო შალომეს ძე ელოშვილი-ზებულაძეს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1917 წ. და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3468 4—2

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 2578 მოშე ისხაკის ძე ტელოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3471 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიხეილ გიორგის ძე ლორის-მელიქოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3475 3—2

**სააქციო საზოგადოების „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საწყობის“ საზოგადოების გამგეობა.**

აუწყებს, ამ საზოგადოების აქციონერთ, რომ ამა წლის ოქტომბრის 31 დღის აქციონერთა პირველი საერთო კრების დადგენილების თანახმად, აქციების ღირებულების სრულად გასანაღდებლად დანიშნულია შემდეგი ვადა: ამა წლის 20 ნოემბრამდის უნდა იყოს შემოტანილი 250 მან. თითო აქციაზე და ამავე წლის 10 დეკემბრამდის დანარჩენი 125 მან. თითო აქციაზედ.

ფული უნდა შემოტანილი იყოს საზოგადოების სალაროში პუშკინის ქუჩა № 15. 3478 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან თამარა ივანეს ასულის უზბაშევას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3453 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან ალექსანდრე სერიას ძე ტერ ოგანეზოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3464. 3—3

დაიკარგა მეტრიკა იკერთის ეკლესიიდან (გორ. მაზრა), სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და თავისუფლების მოწმობა, მიღებული მეოთხე ქართულ პოლკიდან ალექსი ივანესძე ბუთხუზის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3465 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1206 მიცემული ტფილისის მილიციის უფროსისაგან ილია საჩინოს ძე ჯავახის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3472 3—2

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ვანო გაბრიელისძე დოთიაშვილის სახელზე, მიღებული კირბლის ეკლესიიდან (გორის მაზრა), გაუქმებულად ჩაითვალოს. 3466 3—3

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბნებზე მიწერილობის მოწმობა № 836 და მოწაფეობის ბილეთი № 564 ქ. ვეტცელის სახელზე, მიღებული ტფ. 2 ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3462 3—3

დაიკარგა ზაზღვარგარეთელი პასპორტი № 1891 მაქსიმენ იგნატეს ძე ლეიბერგის სახელზე, მიღებული როსტოვში გაუქმებულად ჩაითვალოს. 3432 3—3

დაიკარგა კვიტანცია № 503 მოსკოვის შრომის არტელის მიერ გაცემული მარიამ გრიგოლის ასულის რედროვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3479 3—2

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების საწევრო წიგნაკი № 10211 ალექსანდრე მიხეილის ძე თარხანიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3481 3—2

დაიკარგა მატრიკული № 1042 მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მირიან გრიგოლის ძე ბურჭულაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3482 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3428 ზელიკ ზალმანის ძე სორინის სახელზე, მიღებული რუსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3494 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1605 მილიციელ აბგარ ნიკოლოზის ძე ასლამაზაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1—1 (უფ.)

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბარათი № 825 და პირადობის მოწმობა № 744 სტ. იასონ კვარაცხელია სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3502 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული მარტვილის თემიდან და მეტრიკა ერასტი მაქსიმეს ძე ხაჟომიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3505 3—1

დაიკარგა ექვსი კლასის ატესტატი და შვიდი კლასის მოწმობა მიხეილ ვლადიმერის ძე ტატიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. რეალურ სასწავლებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3500 3—1

დაიკარგა ატესტატი ტფ. 1 რეალურ სასწავლებლის დამთავრების სერგო მიკირტიჩის ძე კურეგოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3498 3—1

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის მოწმობა № 30 პავლე გიორგის ძე კანდელაკის სახელზე, მიღებული მე-9 კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3503 3—1

ვასილი ტიტის ძე ფეფელოვი აუქმებს მინდობილობას მიცემულს მის მიერ ზინაიდა გიორგის ასული შვლიარსკის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ნოტარიუსი სტრახოვის მიერ რეესტრით № 5278. 3496 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 21 ვ. ა. პრიხოტკოს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3486 3—1

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო ნუსხა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან დავით სტეფანეს ძე ჰანტურიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3488 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 331 მიხეილ სიმონის ძე ანტოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3492 3—1

დაიკარგა პასპორტი ჯამალუდინ ასან გუსეინ ოღლის სახელზე, მიღებული გუმუქის (დაღესტანი) უბნის ბოქაულისაგან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3493 3—1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ ალექსანდრეს ასულმა კარპუხოვისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ალექსანდრე კოსმას ძე კარპუხოვი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1907 წ. უკვალოდ დაიკარგა 1915 წ. ყველა, ვინც იცის ალექსანდრე კოსმის ძე კარპუხოვის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა ორი თვის განმავლობაში. 3495 3—1

# ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

თანახმად წესდების 69 მუხლისა იწვევს ბ. ბ. რწმუნებულთ

## საგანგებო კრებაზე,

რომელიც უნდა შესდგეს კვირას ნოემბრის 21-ს დილის 11 საათზე, საზოგადოების ბინაზე.(პუშკინის ქუჩა)

**განსახილველი საგნები:**

1) გამგეობის ხარჯების დასაფარავად მსესხებელთაგან ასაკრეფ ფულის გადიდება

2) 1920 წლისათვის დამატებითი თანხის გადიდება.

977 1—1 **ტფ. ქალაქ. საკრ. საზ. გამგეობა.**

# ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოება ამით აცხადებს,

რომ კვირას ნოემბრის 7-ს დილის 10 საათზე საზოგადოების ბინაზე, პუშკინის ქუჩა, საკუთარ სახლში თანახმად საზოგადოების წესდების 32 მუხლისა მოხდება საზოგადოების მე-77-ე 5% და მე-44-ე $4^1/_2$% ობლიგაციების გათამაშება.

977 1—1

# კავკასიის ბანკის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ დაიკარგა, გაცემული მის მიერ 1917 წ. სექტემბრის 5-ს შესანახი ბილეთი № 49162 1160 მანეთის თეოფანე სიმონის ძე კახიანის სახელზე.

თუ ერთი წლის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, არ იქნება წარმოდგენილი ბანკში აღნიშნული ბილეთი, მაშინ არ ჩაითვლება გაუქმებულად.

978 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.